

# ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2015

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!  
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი საშუაოსათვის!  
ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.**

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

**ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს** და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

**გაითვალისწინეთ**, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი ვარიანტის დასაწერად.

**გახსოვდეთ:** აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

**გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!**

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!





### III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

#### დავალება № 1

ყურადღებით წაკითხეთ დავით გურამიშვილის ლექსი „ანდერძი დავით გურამისშვილისა“:

1. „აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,  
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:  
ცრუვმან საწუთრომ მარიდა პირი,  
არ აღმისრულა მან დანაპირი.
2. მკითხა ცოდვისა, მიხსენა ძვირი,  
ვით გალსა ხესა, განმისმო ძირი;  
დამაგლახაკა, გამხადა მწირი,  
საყვარლისაგან მქნა განაწირი.
3. გული მიშავა ვითა ნახშირი,  
გამაყრევინა თავზე თმა ხშირი.  
პირი დამიჭკნო ვითარცა ჩირი,  
დამაშვებინა დაღმა ჩინვირი.
4. შემყარა ძნელი ილაო-ჭირი,  
გულზედ მასვია მჭვლად დანაჭირი;  
მომიახლოვდა მწარე სიკვდილი  
ცელ-გალესილი, ხრმალ-ამოწვდილი.
5. ვინ ხართ ღვთიანი და მადლიანი,  
კოდ-სასწორ-მართალ, სწორადლიანი,  
გთხოვ, შემიბრალოთ, როს მეკვდარი მნახოთ,  
შენდობა მითხრათ, როცა დამმარხოთ!
6. ვისაც რამ გცოდვ, ვითხოვ, შემინდოთ,  
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;  
მე აღარ ძალმიც თქვენი რა წყენა, –  
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.
7. თუ გინდათ კიდევ მაგინოთ თქვენა,  
ვერ გავიგონებ, დამიდგა სმენა;  
აღარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქშენა,  
მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა.
8. მცხედრად მდებარე, გულ-ხელ-კრეფული,  
მივალ, არ მიმდევს თან ერთი ფული;  
თუ რამე მაქნდა, ყველა მანდ დამრჩა:  
ყმა, სახლ, ბაღ, ბოსტან, თეთრი თუ ფარჩა.
9. ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:  
თუ ღმერთი გრწამდეთ, ამ სამს ფიცარსა  
ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად,  
გარს ნურას უზამთ დასაშენებლად.
10. ნუ გაირჯებით შესაღებლად,  
მსუბუქი ქენით წასაღებლად.  
ფასს ნუ დაჰკარგავთ დასახატავად,  
თეთრს გაუფრთხილდით დასაფანტავად:  
მალ მაეშლების მას სილამაზე,  
მიწა ეყრების, ქვა, სილა მაზე.
11. ვისაც გინდოდესთ თქვენ ჩემთვის კარგი,  
თან გამატანეთ ასეთი ბარგი,  
რომ ცუდ-უბრალოდ არ დამეკარგოს,  
საწყალს ჩემს ცოდვილს სულს რამე არგოს.
12. ჩემს ცოდვილს სულსა ეს შეაწვევა:  
მღვრდლის წირვა-ლოცვა, საკმევლის კმევა;  
მშიერთა ჭმევა, შიშველთა ცმევა,  
უსამართლობით არვისი რთმევა.
13. მეკვდარს არას მარგებს ტყემა-ტირილი,  
ვერ გამაცოცხლებს თავს დაყვირილი;  
სჯობს, არ ჩაიცვათ ტანთ ძაძა-ფლასი,  
მიმიცეთ რამე მღვრდელთ წირვის ფასი.
14. ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა,  
დავრდომილობით უხუც-უმღრდლოსა!  
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,  
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?!
15. უმკვიდრო ვიქმენ, არ დამრჩა შვილი,  
რომ მას აღენთო სანთელი-ცვილი;  
ექნა აღაპი, აედგა ტაბლა:  
ასე მაღალმან მე დამამდაბლა!“

#### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანიტ ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### (1) 3. რას დარდობს ავტორი I სტროფში?

- ა) მთელი ცხოვრება გლოვაში გაატარა.
- ბ) მის შემოქმედებას არავინ იცნობს.

- გ) პოეტი სამშობლოში ვეღარ დაბრუნდება.
- დ) წუთისოფელმა მწარედ გაუცრუა იმედები.

(1) 4. რა იგულისხმება სიტყვებში: „დამაგლახაკა, გამხადა მწირი“?

- ა) ბედისწერამ სამშობლოს მოაშორა.
- ბ) ბედისწერამ სატრფოს დააშორა.
- გ) განგებამ მეგობრები დააკარგვინა.
- დ) განგებამ ცოლ-შვილი დააკარგვინა.

(1) 5. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „პირი დამიჭკნო ვითარცა ჩირი“?

- ა) გაპიროვნება.
- ბ) ეპითეტი.
- გ) შედარება.
- დ) ჰიპერბოლა.

(1) 6. რას გამოხატავს მხატვრული სახე – „...სიკვდილი ცელ-გალესილი, სრმალ-ამოწვდილი“?

- ა) აღსასრულის მოახლოებას.
- ბ) აღსასრულის სიშორეს.
- გ) სიკვდილთან ბრძოლას.
- დ) სიკვდილის სიძულვილს.

(1) 7. ვის მიმართავს შენდობის თხოვნით ავტორი V სტროფში?

- ა) დაუძინებელ მტრებს.
- ბ) სამართლიან ადამიანებს.
- გ) შემოქმედებით თანამოაზრეებს.
- დ) წინაპართა აჩრდილებს.

(1) 8. VI სტროფის მიხედვით, რატომ არ ძალუძს ავტორს სხვისი წყენინება?

- ა) იმიტომ, რომ გადახვეწილია.
- ბ) იმიტომ, რომ გარდაცვლილია.
- გ) იმიტომ, რომ გულმოწყალება.
- დ) იმიტომ, რომ უცოდველია.

(1) 9. ვინ იგულისხმება სტრიქონში: „მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა“?

- ა) მტერი.
- ბ) მშობელი.
- გ) სატრფო.
- დ) ღმერთი.

(1) 10. რომელ სტრიქონშია გამოყენებული ტროპული მეტყველება?

- ა) „გთხოვ, შემობრალთ, როს მკედარი მნახოთ“.
- ბ) „გული მიშავა ვითა ნახშირი“.
- გ) „ვისაც რამ გცოდე, ვითხოვ, შემინდოთ“.
- დ) „მე აღარ ძალმიც თქვენი რა წყენა“.

(1) 11. რა სურვილს გამოხატავს ავტორი სიტყვებით: „ამ სამს ფიცარსა... გარს ნურას უზამთ დასაშვენებლად“?

- ა) დაკრძალონ ზარ-ზეიმით.

- ბ) დაკრძალონ სადად.
- გ) მუდმივად ახსენონ.
- დ) სამუდამოდ დაივიწყონ.

(1) 12. რა აზრს გამოხატავს ავტორი სიტყვებით: „მალ მაეშლების მას სილამაზე, მიწა ეყრე-ბის, ქვა, სილა მაზე“?

- ა) განადგურდება ის, რაც მატერიალურია.
- ბ) დიდებულად ითვლება ის, რაც ამადლებულია.
- გ) მარადიულად იარსებებს ის, რაც მატერიალურია.
- დ) მშვენიერია ის, რაც მარადიულია.

(1) 13. რა „ბარგის“ გატანებას ითხოვს ავტორი?

- ა) მისთვის საოცნებო სამშობლოს მიწის.
- ბ) საზოგადოების დაფასებისა და აღიარების.
- გ) წირვა-ლოცვისა და მადლიანი საქმის.
- დ) ცოდვების შესამსუბუქებელი ხანგრძლივი გლოვის.

(1) 14. რას ითხოვს ადამიანებისაგან ავტორი სტრიქონებში: „მშიერთა ჭმევა, შიშველთა ცმევა, უსამართლობით არვისი რთმევა“?

- ა) განათლებასა და სიუხვეს.
- ბ) გულმოწყალებასა და სამართლიანობას.
- გ) თავმდაბლობასა და ნიჭიერებას.
- დ) შორსმჭვრეტელობასა და საზრიანობას.

(1) 15. რით არის გამოწვეული ტრაგიზმი, რომელიც ბოლო ორ სტროფშია გამოხატული?

- ა) ავტორი ახალგაზრდობიდანვე მოსწყდა სამშობლოს.
- ბ) ავტორმა ცოდვები ვერ მოინანია.
- გ) ავტორს შემოქმედებითი ნიჭი დაეშრიტა.
- დ) ავტორს შთამომავლობა არ დარჩა.

(1) 16. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს ის ძირითადი მიზეზი, რომელმაც ავტორის ტრაგიკული ხვედრი განაპირობა?

- ა) „ვერ გამაცოცხლებს თავს დაყვირილი“.
- ბ) „მალ მაეშლების მას სილამაზე“.
- გ) „მე აღარ ძალმიც თქვენი რა წყენა...“
- დ) „ცრუვმან საწუთრომ მარიდა პირი“.

(1) 17. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?

- ა) უშვილძიროდ გადაგების.
- ბ) ღმერთის უარყოფის.
- გ) ცოდვების მონანიების.
- დ) წუთისოფლის სისასტიკის.

ბ) წერილი დავალება (25 ქულა)

**წერილი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაა დეკავატურადაა გაგებელი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთ-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნაშუქეარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

**გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელოთ, როგორ იხატება მოცემულ ტექსტში ლირიკული გმირის სახე (ყურადღება მიაქციეთ, რა განაპირობებს ტექსტში ასახულ ტრაგიზმს).
- მოცემული ტექსტის მიხედვით დაახსიანით წუთისოფელი.
- იმსჯელოთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**დავალება № 2**

**მოთხრობაში „იგი“ ჯემალ ქარჩხაძე გვიამბობს:**

„იგი თვალდახუჭული იწვა, მაგრამ არ ეძინა.

დიდი დაძინების ქარაფზე ხშირად ასულა, ოღონდ შუაწელს არასოდეს გასცდენია. მუდამ შუაწელზე რჩებოდა, ბოლო ხის ძირას. როცა ვინმე თავისი ფეხით ადიოდა ქარაფის წვერზე, რათა დიდი დაძინების ხახაში ჩაშვებულყო, მაშინ დანარჩენები ბოლო ხის ძირას რჩებოდნენ; ხოლო თუ ვინმე გამოქვაბულში დაიძინებდა დიდი დაძინებით, კაცებს აჰქონდათ ქარაფის წვერზე; იქ ხელებში და ფეხებში მოეჭიდებოდნენ, გაიქნევდნენ, გამოიქნევდნენ და გადაადგებდნენ. იგი ამ დროსაც ბოლო ხის ძირას რჩებოდა სხვებთან ერთად. ახლა იგის ჯერიც მოვიდა. ცა რომ დღის თვალს გაახელს, იგი ავა დიდი დაძინების ქარაფზე და უკან აღარ დაბრუნდება.

სხვები? სხვები დაბრუნდებიან? იგის სხეულში დიდი გაკვირვება შევიდა და იქიდან ყველაფერი გამოდევნა.

როგორ დაბრუნდებიან სხვები, თუ იგი აღარ იქნება? როგორ იარსებებენ, როგორ ინადირებენ, როგორ იტყვიან სიტყვებს? ან ბალახზე როგორ აბრჭყვიანდება მრგვალი წვეთი, ან წვიმა როგორ მოვა ქვეყანაზე? შეუძლებელი ჩანდა რაიმეს არსებობა, როცა იგი აღარ იარსებებდა. იქნებ იგი იარსებებს? იქნებ მთლიანად არ გაქრება? იქნებ ის რაღაც, რაც იგიც არის, ტყვე, ზღვა, ცაც და ყველაფერი, დარჩეს ქვეყანაზე?

გამოქვაბულში ფაჩუნი გაისმა. იგიმ ცალი თვალი გაახილა. კუთხეში ვიდაცის ლანდი წამოდგა.

„ზუსა ჰგავს, – უხმოდ თქვა თავის სხეულში. – სად მიდის ზუ?“

ზუ ფრთხილად მიიკვლევდა გზას თანამომძმეთა სხეულებს შორის. იგის რომ მიუახლოვდა, შეჩერდა. იგიმ თვალები დახუჭა და თავი მოიმძინარა. ზუს მზერას სითბოს სუნი მოჰყვებოდა.

„რა უნდა ზუს?“ – თავის სხეულში იკითხა იგი. მერე ზუს მზერა წავიდა და იგიმ თვალი გაახილა. ზუმ გასასვლელს მიაღწია და გამოქვაბულს გასცდა.

იგიმ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ დაიძინა. დიდხანს იწვალა. ბოლოს ფეხაკრეფით გავიდა გარეთ. ზუ არსად ჩანდა.

„რაც დარჩება ივისგან, – თავის სხეულში თქვა იგიმ, – ოღონდ იგიმ არ იცის, როგორ დარჩება რაღაც... ნეტა ზუ სად უნდა წასულიყო?“

ღამის თვალი ბრჭყვიალა სხივებს ჰფენდა არემარეს და იქაურობას ანათებდა.

იგი ხის ძირას დაჯდა, თვალები მოჭუტა და ღამის თვალს მიაჩერდა. ასე უფრო ბრჭყვიანობდა სხივები.

„ღლის თვალიც და ღამის თვალიც დიდი დაძინების ქარაფს იკით ეშვება, – უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში. – სად მიდიან? ან მერე რაღად ჩნდებიან შიშველი მთის თავზე? ქვის ნის მაგივრად რომ ქვის მძვინვარე მხეცი გაეკეთებინა ივის, მაშინაც გაბედავდა ბელადი გამოქვაბულიდან გამოსვლას? ქვის მძვინვარე მხეცი რომ გაეკეთებინა, ალბათ გამოქვაბულში არც შეცვივდებოდნენ, სულ გადაიკარგებოდნენ ამ არემარედან. ზუს რა უნდა გარეთ? სად წავიდა ზუ? დარჩება რაღაც, იგი რომ გაქრება, თუ არ დარჩება? ძველი ბელადი რომ ჩაეშვა დიდი დაძინების ხახაში, რა დარჩა მისგან? კვალი? არა. კვალი სხვა რამეა. იქნებ ის დარჩა, რომ იგი ამბობს: ძველი ბელადი. ძველი ბელადი რომ არ ყოფილიყო, იგი არ იტყოდა: „ძველი ბელადი“. რაკი ძველი ბელადი იყო და გაქრა, იგი ამბობს: „ძველი ბელადი“.

ბუჩქებიდან ფაჩუნი მოისმა. იგიმ ყურები ცქვიტა.

„ზუ იქნება“. – უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში და ხმადაბლა დაიძახა:

– ზუ!

ფაჩუნი შეწყდა. მერე ზუს ლანდმა მინდორი გადაირბინა. ხელში რაღაც ეჭირა.

„ზუს ქვა მიაქვს“. – თავის სხეულში თქვა იგიმ და კვლავ დაუძახა:

– ზუ!

ზუს არ მოუხედავს. ხელში ქვა ეჭირა, ის ქვა გულზე მიიხუტა, სირბილს მოუმატა და მალე ტყეში გაუჩინარდა...

იგი ბუჩქებიდან გამოვიდა. გამოქვაბულის შესასვლელთან ლანდს მოჰკრა თვალი. ლანდი გამოქვაბულიდან გამოდიოდა.

„ზუს არა ჰგავს, – უხმოდ თქვა იგიმ. – ნისა ჰგავს“.

ივის სხეულში ნის სიტყვები გაჩნდა: „იგი ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები. იგი სხვა ჯიშისაა“. ნის სიტყვებმა ივის რაღაც ატკინა სხეულში.

ნიმ იგი შეამჩნია და მისკენ გამოეშურა.

– ნიმ დაინახა, იგი რომ გამოქვაბულიდან გამოვიდა, – თქვა ნიმ. – ნი ივის გამოჰყვა.

ნი ლამაზი იყო.

– რა უნდა ნის? – ივის ნის სილამაზემაც ატკინა რაღაც.

ნიმ წყნარად თქვა:

– ნის ივის გვერდით ყოფნა უნდა. ნის უნდა, რომ ივის გვერდით იჯდეს ხის ძირას.

„რა დაემართა ნის?“ – უხმოდ იკითხა იგიმ და ყურადღებით დააცქერდა.

ადრე, სანამ ნაკადულის პირას ის მოხდებოდა, რაც მოხდა, ივისაც უნდოდა ნის გვერდით მჯდარიყო უხმოდ და ყველა სიტყვას სძინებოდა. მაგრამ ეს ალბათ იმიტომ უნდოდა, რომ ნი ლამაზი და თბილი იყო, ანდა იმიტომ, რომ იგი თურმე ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები. ნის რაღა დაემართა? ნუთუ არც ნია ისეთი...

დასხდნენ ხის ძირას და ისხდნენ უხმოდ. მერე ნიმ თქვა:

– იგიმ ქვის ნი გააკეთა. რა უყო იგიმ ქვის ნი?

– იგიმ აქ დატოვა ქვის ნი. – თქვა იგიმ და უცებ სხეულში ზუ გაჩნდა, რომელსაც ხელში ქვა ეჭირა და ტყეში მირბოდა. „ქვის ნი მიჰქონდა ზუს. – უხმოდ თქვა იგიმ. – რად უნდოდა ზუს ქვის ნი?“ – მერე ხმამაღლა დაუმატა: – სადმე იქნება ქვის ნი.

– ივის საკვირველი სიტყვები აქვს. – თქვა სიჩუმის შემდეგ ნიმ. – ნის ენატრება საკვირველი სიტყვები.

ნის სხეულიდან სითბო წამოვიდა. და უცებ ნი ისეთი გახდა, როგორც იყო მანამ, სანამ ნაკადულის პირას ის მოხდებოდა, რაც მოხდა.

იგი ნის საამო სითბოში გაეხვია და თვითონაც სითბოდ იქცა. სითბო ყველაფერს მოედო. ახლა ყველაფერი სითბო იყო; ახლა ყველაფერი იგი იყო და ყველაფერი ნი იყო.

ივის ხელმა ნის ხელი მოძებნა და ფრთხილად შემოეჭლო. ნის ხელი ოდნავ ტოკავდა.

– როცა იგი ღლის თვალს უყურებს, ივის უხარია ნი, – წყნარად თქვა იგიმ და სიტყვები ისე შრიალებდნენ, როგორც შრიალებს ტყე, ნიავე რომ დაუბერავს. – როცა იგი ღამის თვალს უყურებს, ივის ენატრება ნი. ნის თვალები ისეთია, როგორცაა მთვლემარე ზღვა; ნის თმა ისეთია, როგორცაა ჩამოცვენილი ფოთოლი. როცა იგი მარტოა, ნი ჩნდება ივის სხეულში და იგი



ადარაა მარტო. როცა იგის ნის სუნთქვა ესმის, იგის ჰგონია, რომ ნის სუნთქვაა ის რაღაც, რის გამოც ყველაფერი ერთი და იგივეა, რის გამოც იგი ყველაფერშია და ნიც ყველაფერშია...

ნის ხელი ოდნავ ტოკავდა. მერე ნიმ ნიავივით დაიწურჩულა:  
– იგი ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები. იგი კარგია“.

**ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)**

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყო, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 3. რას ნიშნავს „დიდი დაძინება“?

- ა) ტანჯვას.
- ბ) სიხარულს.
- გ) ოცნებას.
- დ) სიკვდილს.

(1) 4. რას გულისხმობს ავტორი ფრაზაში: „ახლა იგის ჯერიც მოვიდა“?

- ა) იგის დაღუპვა ელის.
- ბ) იგი გადარჩენას შეძლებს.
- გ) იგის ბედი გაურკვეველია.
- დ) იგი ბედისწერას ემორჩილება.

(1) 5. როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები: „ცა რომ დღის თვალს გაახელს“?

- ა) გაავდრდება.
- ბ) გამოიძარება.
- გ) გათენდება.
- დ) დაღამდება.

(1) 6. იგის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს სიტყვებში: „როგორ იარსებებენ, როგორ ინადირებენ, როგორ იტყვიან სიტყვებს?“

- ა) დაბნეულობა და შეშფოთება.
- ბ) შიში და სიძულვილი.
- გ) უიმედობა და სასოწარკვეთა.
- დ) აღშფოთება და ზიზღი.

(1) 7. იგის მიმართ ზუს როგორი დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში: „ზუს მხერას სითბოს სუნი მოჰყვებოდა“?

- ა) ფრთხილი.
- ბ) კეთილგანწყობილი.
- გ) მტრული.
- დ) გულგრილი.

(1) 8. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ტექსტის მონაკვეთში: „ღამის თვალი ბრჭყვიანად სხივებს ჰვენდა არემარეს და იქაურობას ანათებდა“?

- ა) ირონია.
- ბ) მეტაფორა.
- გ) იუმორი.
- დ) შედარება.

(1) 9. რის თქმა სურს იგის სიტყვებით: „ქვის მძვინვარე მხეცი რომ გაეკეთებინა, ალბათ გამოქვამულში არც შეცვივდებოდნენ, სულ გადაიკარგებოდნენ ამ არემარედან“?

- ა) იგის თანამოძმეები ღრმად აზროვნებენ.
- ბ) იგის თანამოძმეები გულკეთილები არიან.

- გ) იგის თანამოძმეები გულებოროტები არიან.
- დ) იგის თანამოძმეები პრიმიტიულად აზროვნებენ.

(1) 10. **რაზე მიანიშნებს იგის სიტყვები:** „დარჩება რაღაც, იგი რომ გაქრება, თუ არ დარჩება“?

- ა) იგის ძველი ბელადის ბედი აინტერესებს.
- ბ) იგი ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ.
- გ) იგი მარტოა და თავს იქცევს.
- დ) იგი ზუსტად გაუჩინარებით შეშფოთებულია.

(1) 11. **რატომ გამოჰყვა ნი გამოქვაბულიდან გამოსულ იგის?**

- ა) ნი გამოქვაბულში მარტო დარჩენას გაურბის.
- ბ) ნი იგისთან შინაგან სიასლოვეს გრძნობს.
- გ) ნის დავალებული აქვს, იგის მუდმივად უთვალთვალოს.
- დ) ნის უბრალოდ აინტერესებს, სად წავა იგი.

(1) 12. **რატომ სურდა ნისთან განმარტოებულ იგის, რომ „ყველა სიტყვას სძინებოდა“?**

- ა) იგის უყვარს ნი და მასთან ყოფნისას სხვა არაფერი აინტერესებს.
- ბ) იგის გააზრებული აქვს ნის განსხვავებულობა, მაგრამ სიტყვებით გამოხატვა უჭირს.
- გ) იგი ამჩნევს ნის სილამაზეს და შესაფერისი სიტყვების მოძებნას ცდილობს.
- დ) იგი ფიქრობს ხვალისდელ განსაცდელზე და სიტყვებს მნიშვნელობას არ ანიჭებს.

(1) 13. **ნის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სიტყვებში:** „ნის ხელი ოდნავ ტოკავდა“?

- ა) აღშფოთება.
- ბ) გაბედულება.
- გ) მღელვარება.
- დ) შეუპოვრობა.

(1) 14. **რომელი მხატვრული საშუალებაა „მოვლემარე ზღვა“?**

- ა) ალეგორია.
- ბ) გაპიროვნება.
- გ) ჰიპერბოლა.
- დ) ალუზია.

(1) 15. **ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ იგი ხელოვანის თვალით აღიქვამს სამყაროს?**

- ა) „აღბათ იმიტომ უნდოდა, რომ ნი ლამაზი და თბილი იყო“.
- ბ) „ბუჩქებიდან ფახუნი მოისმა. იგიმ ყურები ცქვიტა“.
- გ) „იგიმ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ დაიძინა“.
- დ) „ნის თმა ისეთია, როგორცაა ჩამოცვენილი ფოთოლი“.

(1) 16. **ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს ის ძირითადი მიზეზი, რომელმაც იგის ბედი გადაწყვიტა?**

- ა) „დიდი დაძინების ქარაფზე ხშირად ასულა, ოღონდ შუაწელს არასოდეს გასცდენია“.
- ბ) „რაკი ძველი ბელადი იყო და გაქრა, იგი ამბობს: „ძველი ბელადი“.
- გ) „იგი ნის საამო სითბოში გაეხვია და თვითონაც სითბოდ იქცა“.
- დ) „იგი თურმე ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები“.

(1) 17. **რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**

- ა) ადამიანის გამორჩეულობის.
- ბ) მეგობრის დაღატის.
- გ) სიკვდილით დასჯის.
- დ) ურთიერთობით ტკბობის.

**ბ) წერიტი დავალება (25 ქულა)**

**წერიტი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერიტი დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ **თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს** და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). **გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთ-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, შავად შესრულებული ნაშუქეარი არ გასწორდება.** პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ იგის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, როგორ აღიქვამს იგი გარემომცველ სინამდვილეს).
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.
- იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**შავი სამუშაოსათვის**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

